

**ტექნიკური რეგლამენტის „ცდომილებათა ხარისხის  
გათვალისწინებით დაკანონებულ გაზომვის საშუალებათა  
კლასიფიკაციის“ დამტკიცების შესახებ**

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად:

**მუხლი 1.** დამტკიცდეს თანდართული ტექნიკური რეგლამენტი „ცდომილებათა ხარისხის გათვალისწინებით დაკანონებულ გაზომვის საშუალებათა კლასიფიკაცია“.

**მუხლი 2.** ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 11 ოქტომბრის №1-1/1108 ბრძანება „ტექნიკური რეგლამენტი „ცდომილებათა ხარისხის გათვალისწინებით დაკანონებულ გაზომვის საშუალებათა კლასიფიკაციის“ დამტკიცების შესახებ“.

**მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.**

**პრემიერ - მინისტრი**

**ირაკლი ლარიბაშვილი**

## ტექნიკური რეგლამენტის „ცდომილებათა ხარისხის გათვალისწინებით დაკანონებულ გაზომვის საშუალებათა კლასიფიკაცია“

**მუხლი 1. ცდომილებათა ხარისხის გათვალისწინებით დაკანონებული გაზომვის საშუალებების კლასიფიკაცია**

1. ცდომილებათა ხარისხის გათვალისწინებით დაკანონებული გაზომვის საშუალებების კლასიფიკაცია ხორციელდება შემდეგი მეტროლოგიური მახასიათებლების შესაბამისად:

ა) გაზომვის დიაპაზონი;

ბ) გაზომვის ცდომილება;

გ) სიზუსტის კლასი;

დ) თანრიგი (სანიმუშო გაზომვის საშუალებების ცდომილებებისათვის).

2. დაკანონებული გაზომვის საშუალებების ცდომილებათა მეტროლოგიური მახასიათებლების მნიშვნელობები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დაშვებული გაზომვის საშუალებების ტიპების რეესტრში რეგისტრირებულ მახასიათებლებს.

**მუხლი 2. პასუხისმგებლობა, დაკანონებული გაზომვის საშუალებების დანიშნულების მიხედვით**

დაკანონებული გაზომვის საშუალებების დანიშნულების მიხედვით გამოყენების დროს, ამ ტექნიკური რეგლამენტის პირველი მუხლით გათვალისწინებული მახასიათებლების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება გაზომვის საშუალებების მფლობელს.